ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 342

"21" ივლისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის შედეგად 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული №ე-428-3-22738 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 127² მუხლის მე-2 პუნქტის, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ პირობებით გამოცხადებული აუქციონის შედეგად 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული №ე-428-3-22738 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 19 ივლისის №23.1072.1187 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ნიკა გილაურს (პ/ნ. 01024005566) შორის, 2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმებული პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-428-3-22738 ხელშეკრულებით განკარგულ 368 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (ს/კ.№81.02.18.689; დღევანდელი მდგომარეობით ს/კ. №81.02.18.775) ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს ჩარჩო გეგმის ფარგლებში".

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**